კვლევითი ინსტიტუტი
Gnomon Wise

კავკასიის ეკონომიკის ყოველთვიური მიმოხილვა

აპრილი 2023



სამხრეთ კავკასიაში 2022 წელს არსებული მაღალი ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის ტემპი მიმდინარე წლიდან შემცირებულია. 2023 წლის პირველი ორი თვის მდგომარეობით, კავკასიის ეკონომიკის ზრდა 4.3%-ია, სადაც გამორჩეული ქვეყანა სომხეთია. ამ უკანასკნელში ზრდა ორნიშნა მაჩვენებელზე ნარჩუნდება. ორნიშნა მაჩვენებელზე რჩება აზერბაიჯანში ინფლაცია, ხოლო საქართველოსა და სომხეთში თვალსაჩინოდ შემცირებულია. ამ პირობებში აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ამკაცრებს, ხოლო საქართველოსა და სომხეთში განაკვეთი უცვლელია.

ეკონომიკური ზრდა

ბოლო ათწლეულში კავკასიის საშუალო წლიური ზრდა 2.9% იყო. პანდემიის პირველ წელს რეგიონის ეკონომიკა 5.5%-ით შემცირდა. მომდევნო ორი წელს კი აღდგენის სწრაფი ტემპი იყო. 2021 წელს კავკასიის ეკონომიკური ზრდა 7.2%-ს შეადგენდა, რაც 2022 წელს 7.8% იყო. გასული წელს მაღალი ზრდით სომხეთი და საქართველო გამოირჩეოდა.

სომხეთში ეკონომიკა 14.2%-ით გაიზარდა, ხოლო საქართველოში 10.1%-ით. ამ ქვეყნების ზრდაში არსებითი წვლილი რუსეთიდან მიგრანტებმა და შესაბამისად, ფინანსურმა ნაკადებმა ითამაშა. 2022 წელს აზერბაიჯანის ეკონომიკა 4.6%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის პირველს ორ თვეში კავკასიის საშუალო ზრდა 4.3%-ია, რაც იანვარში 4.6% იყო.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურები

ამ პერიოდში, ზრდის შედარებით მაღალი ნიშნული სომხეთშია. ამ უკანასკნელის ზრდა 10.9%-ს შეადგენს. თებერვალში სომხეთის ეკონომიკა 11.3%-ით გაიზარდა. ზრდაში განსაკუთრებული წვლილი სავაჭრო სექტორს გააჩნდა, რომელიც სომხეთის ეკონომიკის არსებითი ნაწილია. თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სავაჭრო ბრუნვა 18.2%-ით გაიზარდა, ხოლო მშენებლობის სექტორის ზრდა 13.9%-ს შეადგენს. იანვარ-თებერვალში საქართველოს ეკონომიკის საშუალო ზრდამ 7.1% შეადგინა. თებერვალში ზრდის ნიშნული 5.8% იყო. სომხეთისგან განსხვავებით, მიმდინარე წლის მეორე თვეს ზრდის ტემპი შენელებულია.

თუმცა, მსგავსად სომხეთისა, საქართველოშიც დადებითი კონტრიბუცია სავაჭრო და სამშენებლო სექტორებს გააჩნდა. მიმდინარე პერიოდში აზერბაიჯანის ეკონომიკა დაბალი ზრდით ხასიათდება. იანვარ-თებერვალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეკონომიკა მხოლოდ 0.4%-ით არის გაზრდილი. თუმცა, ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის გარეშე, სხვა დანარჩენი სექტორების ზრდა შედარებით მაღალი, 4.9%-ია. ეს სექტორები კი მთლიანი ეკონომიკის 56.0%-ია. თავად ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში არასახარბიელო მდგომარეობა ამ უკანასკნელზე ფასების მკვეთრ ვარდნას უკავშირდება.

სამომხმარებლო ფასები

ბოლო ათწლეულში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინფლაციის დონე განსხვავებულია. 2013-22 წლებში საშუალო წლიური ინფლაცია აზერბაიჯანში 6.0% იყო, ხოლო საქართველოში - 4.9%. ამ პერიოდში ინფლაციის დაბალი ნიშნული, საშუალოდ 3.3%, სომხეთში იყო. 2022 წელსაც სამომხმარებლო ფასების ზრდა საშუალოდ 8.5%-ს შეადგენდა. აზერბაიჯანსა და საქართველოში 12.2% და 11.9% -ები იყო.

მიმდინარე წელს კავკასიის ქვეყნებში ინფლაციის ტემპი შემცირებულია. მარტში სომხეთში წლიურმა ინფლაციამ 5.4% შეადგინა, რაც თებერვალთან შედარებით, 2.7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. ამ პერიოდში, საქართველოში ინფლაცია 5.3%-ია, რომელიც წინა თვესთან შედარებით, 2.8 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. აზერბაიჯანში კი ინფლაცია კვლავ ორნიშნა რჩება. მარტში სამომხმარებლო ფასების წლიური ზრდა 13.6% იყო. თებერვალში -14.1%.



მონეტარული პოლიტიკა

ბოლო წლებში მაღალი ინფლაციის საპასუხოდ, ცენტრალურმა ბანკებმა რეაგირება სხვადასხვა დროს და მასშტაბით დაიწყეს.



სომხეთში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ჯერ კიდევ 2021 წლის მაისში დაიწყო, როცა განაკვეთი 5.5%-იდან 6.0%-მდე გაიზარდა. ამ პერიოდიდან სომხეთის ცენტრალური ბანკი პოლიტიკის განაკვეთს ინტენსიურად ზრდიდა, რაც 2022 წლის ბოლოს უკვე 10.75% იყო. ცენტრალურ ბანკში ბოლო გადაწყვეტილება განაკვეთზე 2022 წლის დეკემბერში იყო. ბანკის მმართველთა საბჭოს მორიგი სხდომა 2 მაისს გაიმართება.

საქართველოში მონეტარული განაკვეთის გამკაცრება 2021 წლის აგვისტოში დაიწყო. ამ დროს განაკვეთი 9.5%-დან 10.0%-მდე გაიზარდა. მომდევნო ზრდა 2021 წლის დეკემბერში, 10.5%-მდე იყო. 2022 წლის მარტიდან დღემდე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად, 11.0%-ზე ნარჩუნდება. საქართველოს ეროვნულ ბანკში მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ბოლო სხდომა 29 მარტს იყო, ხოლო მომდევნო - 10 მაისს გაიმართება.

აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი პოლიტიკის გამკაცრებისგან თავს იკავებდა. ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, 2021 წლის ოქტომბერში განაკვეთი 6.25%-დან 7.0%-მდე გაიზარდა. ამის შემდეგ, 2022 წლის დეკემბრამდე პოლიტიკა არ შეცვლილა. ამ პერიოდიდან რეფინანსირების ზრდა დაიწყო, რომელიც ბოლო, 29 მარტის 8.75%-მდე გაიზარდა. ბანკის მმართველთა საბჭო მომდევნო გადაწყვეტილების მისაღებად 3 მაისს შეიკრიბება.

კვლევითი ინსტიტუტი - Gnomon Wise

ვინ ვართ

Gnomon Wise საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტია. ჩვენი გუნდი დემოკრატიული ღირებულებების მქონე, სხვადასხვა კვალიფიკაციის, გამოცდილ მკვლევრებს აერთიანებს. გუნდის თითოეულ წევრს ღრმად გვწამს, რომ ჩვენ მიერ კეთილსინდისიერად წარმოებული ცოდნით, ვაძლიერებთ ინდივიდს და შესაბამისად, ხელს ვუწყობთ კაცობრიობის კეთილდღეობას.

რას ვაკეთებთ

ჩვენ ვაწარმოებთ სიღრმისეულ, მრავალმხრივ ცოდნას და უზრუნველვყოფთ მის სათანადო გავრცელებას. ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მიზნით, ხელს ვუწყობთ საჯარო პოლიტიკაში აკადემიური სივრცის როლისა და საზოგადოების ჩართულობის ზრდას, რითაც ცოდნაზე დამყარებულ, საზოგადოებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ვახალისებთ.

ჩვენ ვცვლით იდეებს და ამავდროულად, საზოგადოების თითოეულ წევრს ვაძლევთ საშუალებას თავადაც იყოს იდეათა ბაზრის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი.

როგორ ვაკეთებთ

დამოუკიდებლად ან ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით, ჩვენ ვაწარმოებთ აკადემიურ და გამოყენებით კვლევებს, ანგარიშებს, ანალიტიკურ დოკუმენტებს. სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ინტერესთა ჯგუფების ჩართულობით, შევიმუშავებთ პოლიტიკის დოკუმენტებსა და რეკომენდაციებს. იდეათა გაცვლის მიზნით, ორგანიზებას ვუწევთ კონფერენციებსა და დისკუსიებს.

www.gnomonwise.org

info@gnomonwise.org